ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №6384598

ნომერი: AR1953563

თარიღი : 11.03.2023

გაცემის თარიღი : 24.03.2023

გაცნობის თარიღი : 24.03.2023

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დაბა წყნეთი , ქუჩა რუსთაველი , N1 ; ქალაქი თბილისი , დაბა წყნეთი , რუსთაველის ქუჩა N1-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამარი ქოჩიაშვილი პ/ნ 35001076810
- რუსთავი მ.კოსტავას გამზ. კორ. 11 ბ. 12

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- III კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- ორი ან მეტი ფუნქციის მქონე ობიექტები
  - მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:

1. ვინაიდან საჯარო რეესტრის ამონაწერში ფიქსირდება ვალდებულება ,,მშენებლობის უფლების გარეშე“, საჭიროა ამოღებულ იქნას აღნიშნული შეზღუდვა.

2. არებობის შემთხვევაში მიწის ნაკვეთის (საპროექტო ტერიტორიის) ტოპოგრაფიული გეგმა, მასშტაბი 1:500 -> ....ტოპოგრაფიული გეგმის pdf ფაილი : ხელმოწერა არ უნდა იქნეს შესრულებული კომპიუტერული მანიპულაციით, წარმოადგინეთ დასკანერებული ტოპოგრაფიული გეგმა.

3. არსებული სიტუაციის ფოტოსურათები -> ....ფოტოსურათების pdf ფაილი :
წარმოადგინეთ დღეის მდგომარეობით გადაღებული, არსებული სიტუაციის ამსახველი დათარიღებული ფოტომასალა.

4. საინფორმაციო დაფა-ბანერი -> ....საინფორმაციო დაფა - ბანერის pdf ფაილი.:
ნაცვლად მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისა, ბანერზე მითითებული უნდა იქნეს მრავალფუნქციური შენობა.

5. ექსპერტის დასკვნა მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ. -> . დასკვნის ელექტრონული ფაილი.:
წარმოადგინეთ ექსპერტის დასკვნა მიწის ნაკვეთზე არსებული მწვანე ნარგავების აღწერისა და მათი ხარისხობრივი შეფასების შესახებ.

6. საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთზე შენობის ან/და ნაგებობის განთავსების სქემა. -> . სქემის ელექტრონული ფაილი.:
წარმოადგინეთ ტოპოგრაფიულ გეგმაზე დატანილი საპროექტო შენობა–ნაგებობის განთავსების სქემა, შენობიდან არსებულ ხე–ნარგავებამდე მიბმის მანძილების მითითებით. განთავსების სქემაზე ასევე უნდა დაიტანოთ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების საფუძველზე მონიშნული ხე-ნარგავები შესაბამისი ექსპლიკაციის მითითებით.

7. საპროექტო მიწის ნაკვეთს კვეთს სს ,,თელასი“-ს (ს.კ. N01.04.463), ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული გარე განათების ხაზობრივი ნაგებობა (ს.კ. N 01.04.757) და ბუნებრივი აირით მომარაგების ქსელი. აღნიშნულიდან გამომდინარე საჭიროა წარმოადგინოთ ხაზობრივი ნაგებობების მესაკუთრეების პოზიცია საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებით.

8. დადგენილი ხარვეზების გამოსწორების შემდეგ განაცხადი გადაიგზავნება გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში და საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში პოზიციის დასაფიქსირებლად.

მითითებული ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ

მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.